შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№40 (9.654)

25 ოქტომბერი–1 ნოემბერი 2014 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

დღესასწაული „ქართველი პრიმიტივისტის“ გარემოში

„ფიროსმანობის“ დღესასწაულზე საპატიო სტუმრების კომენტარები გაზეთმა „შირაქმა“ ჩაიწერა:

ირაკლი შიოლაშვილი (კახეთის გუბერნატორი): „დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ მირზაანში, ნიკალას ეზოში, სადაც დიდი მხატვარი დაიბადა და გაიზარდა, ფიროსმანობა ტრადიციულად აღინიშნა. ვეცადეთ დღესასწაული ტრადიციული სანახაობებით დაგვეტვირთა. მინდა, მთელ საქართველოს მივულოცო ეს დღე. ძალიან ბევრი მოწვეული სტუმარი იყო, ნახეთ, რომ მთელი დედოფლისწყარო ზეიმობს და არა მარტო დედოფლისწყარო. ბევრი ხელოვანი, პარლამენტარი გვეწვია, ადგილობრივი მოსახლეობაც გამოვიდა და ჩვენ ვეცადეთ ამ დღისთვის ტრადიციული სახე დაგვებრუნებინა, როგორიც თავის დროზე ჰქონდა“.

რამდენიმე ათეული წელია, შემოდგომის ერთი დღე „ფიროსმანობას“ ეძღვნება. ფიროსმანი რომ საქართველოს საავიზიტო ბარათია ქართულ ცეკვასთან და სიმღერასთან ერთად, ამაზე არავინ დაობს. ამ ფაქტორის გამოა, რომ ორმაგად ამაყობს ქიზიყი მხატვრით. ქიზიყელი ხალხი ამ დღეს ყოველთვის განსაკუთრებულად ელის. ამიტომაც ჰქვია ამ დღეს სახალხო დღესასწაული.

19 ოქტომბერს ამინდმა არცთუ გაგვანებივრა. ნისლიან დღეს მოქუფრულმა ცამ ნაღველი წვიმის სახით გადმოანთხია და... გამოიდარა. ქარმა ღრუბლები გადაყარა და მზის სხივებმაც დახედეს ფიროსმანის გარემოს, სადაც თავი მოეყარათ ახალგაზრდა მხატვრებს, ყარაჩოხელებს - ნიკალას გაცოცხლებულ პერსონაჟებს...

სუსხიანი ამინდის მიუხედავად ბევრი სტუმარი ეწვია დიდი ნიკალას ნაფუძარს. ვის არ ნახავდით აქ: ცნობილ მხატვრებსა თუ პოეტებს, მოქანდაკეებსა თუ მუსიკოს-შემსრულებლებს, მსოფლიო დონის საოპერო მომღერალს... მათ უკვე ტრადიციად და ცხოვრების წესად აქვთ ქცეული-ყოველ წელიწადს, ოქტომბრის თვეში ეწვიონ გენიალური თვითნასწავლი, „პრიმიტივისტი“ მხატვრის მუზეუმს და ამით პატივი მიაგონ მის ხსოვნას.

საგანგებოდ ამ დღისთვის მონწულ ფაცხებში კი... მწვადის სუნიც ტრიალებდა, ხინკალიც იხარშებოდა და კახური სტუმარმასპინძლობაც იგრძნობოდა. იმ დღეს ყველას მასპინძელი ხომ ნიკალა იყო, კაცი, რომლის ცხოვრებაც მისი სიკვდილის შემდეგ დაიწყო. ფიროსმანის მუზეუმი წელს 14 ორიგინალთან ერთად შეეგება დამთვალიერებლებს. მათგან რამდენიმე ახალი ხელისუფლების ძალისხმევით კვლავ დაუბრუნდა ნიკო ფიროსმანაშვილის მუზეუმს. რაც შეეხება მის პრიმიტივიზმს – დიახ, ნიკო ფიროსმანაშვილი პრიმიტივისტია. მის ნახატებში მხატვრული ენერგიის ის უზარმაზარი ძალა დევს, რომელიც ქართველი ხალხის შემოქმედებით ნიჭშია ჩადებული. ფიროსმანი, საღებავებით მოთხრობილი ზღაპრების ჭეშმარიტი სახალხო მთქმელია. მისი ქმნილებები ისეთივე მშვენიერია, როგორც ხალხური ზღაპრები. მათში უამრავი „ბავშურობაა“, უბრალოება, უშუალობა, სისადავე. მაგრამ ამავდროულად მათში უზარმაზარი გამომსახველობითი ძალა იგრძნობა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა მისი „ჟირაფი“. თუკი ვეინინგერი მართალია და ასეთი ცხოველი სიმბოლურად თავის თავში სამყაროს მეტაფიზიკურ განსაზღვრებას ატარებს, ფიროსმანაშვილის „ჟირაფში“ ასეთი განსაზღვრების პოვნა ნამდვილად შეიძლება. ჟირაფის თვალები ისეთი ძალითაა გამოსახული, რომ მათი ყურების დროს უკვე გავიწყდებათ, რომ თქვენს წინაშე უბრალოდ ცხოველია და ლამის მისტიკური შიში გიპყრობთ. მისი ნახატები მთელი პოემაა, თბილისური თუ უბრალოდ ქართული ყოფის გამომსახველი...

წელს პრემიერ-მინისტრი ეწვია ქიზიყელი ხალხის ზეიმს და ამით უფრო გამორჩეული გახადა ეს დღე...

სახალხო დღესასწაული დასრულდა ადგილობრივი ქორეოგრაფიული და ფოლკლორული ანსამბლების მონაწილეობით, ხალხმა კი, სუსხიანი ამინდის მიუხედავად, ქვეყნის პრემიერის ვიზიტითა და ყურადღებით გამოწვეული სითბო წამოიყოლა, სითბო, რომელსაც აქამდე ნაჩვევი არ იყო...

ინგა შიოლაშვილი

ნიკოლოზ ჯანიაშვილი (დედოფლისწყაროს გამგებელი): „მართალია, რამდენიმე წლის წინ დღესასწაულმა ფერი იცვალა და ამ დღის აღნიშვნის დროს გარკვეულწილად არაქიზიყური ელემენტებიც შემოვიდა, მაგრამ ამჯერად ჩვენ ფესვებს ვუბრუნდებით და უნდა ითქვას, რომ წელს მირზაანში ნამდვილი ქიზიყური დღესასწაული გაიმართა. ძალიან ბევრი სტუმარი ჩამოვიდა და რაც ყველაზე მთავარია, ქვეყნის პრემიერმა დაგვაფასა და ოჯახთან ერთად გვეწვია. ეს კი ჩვენთვის ძალიან საამაყო და მნიშვნელოვანია. მე ვფიქრობ, საკმაოდ ლამაზი დღე გამოგვივიდა. აქ წარმოდგენილი იყო, როგორც ადგილობრივი, ისე მოწვეული ანსამბლები და საბოლოო ჯამში ყველა კმაყოფილი იყო.

(გაგრძელება გვ.6)

გავიგოთ რამდენი ვართ?!

გვ. 3

გარემოს დაბინძურებისთვის სანქციები მკაცრდება

გვ. 2

ისწავლე და ასწავლე

გვ. 4

2 ნოემბერს არხილოსკალოში ერეკლე ჭინჭარაულისა და ალუდა ქეთელაურის ხსოვნის საღამო გაიმართება

სოფელ არხოტში ტრაგიკულად გარდაცვლილი ერეკლე ჭინჭარაულისა და მისი მეგობრის ალუდა ქეთელაურის ხსოვნას მიეძღვნება საქველმოქმედო საღამო „ვაშენოთ უფლის სახლი“, რომელიც 2 ნოემბერს სოფელ არხილოსკალოში გაიმართება. ღონისძიებაზე მოეწყობა გელა ბორაშვილის დოკუმენტური ფილმის – „ერეს“ საპრემიერო ჩვენება. ასევე,ჩატარდება სპორტული შეჯიბრებები დოლსა და მკლავჭიდში, სტუმრებს შესაძლებლობა ექნებათ ადგილზე დააგემოვნონ ტრადიციული ხევსურული ყველი, ღვინო და დადღეგული ლუდი, ხსოვნის საღამოს მუსიკალური ნომრები დაასრულებს.

C M Y K

ნოემბრიდან ბუნებრივი გაზის ქსელზე მიერთების ტარიფი 200 ლარით შემცირდება

ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკი) ინფორმაციით, ახალი მომხმარებლებისთვის ბუნებრივი გაზის ქსელზე მიერთების შემცირებული ტარიფი ძალაში მიმდინარე წლის ნოემბრიდან შევა. ტარიფი 600-დან 400 ლარამდე მცირდება.

სემეკმა ცვლილებათა პაკეტი შეიმუშავა, რომლის მიხედვითაც საყოფაცხოვრებო მომხმარებლის ბუნებრივი გაზის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების ტარიფი გავრცელდება გაზიფიცირებულ დასახლებათა ტერიტორიულ საზღვრებში, განაწილების ლიცენზიატის მფლობელობაში არსებული გამანაწილებელი ქსელიდან 300 მეტრის რადიუსში. მოქალაქეს შემცირებული ტარიფის გადახდა 25 ლარიანი პორციებით 16 თვის განმავლობაში შეეძლება. მომსახურების ღირებულებაში შედის ბუნებრივი გაზის ერთი წერტილის მოწყობა.

ამასთან, პირველი ნოემბრიდან გაზგამანაწილებელ კომპანიებს ახალი რეგულაციები დაუწესდებათ. თუ კომპანია არ უზრუნველყოფს ახალი მომხმარებლის 30 დღიან ვადაში მიერთებას, მიერთების საფასური 400 ლარიდან 200-მდე შემცირდება.

სემეკის 2009 წლის 9 ივლისის №12 დადგენილებით დამტკიცებული „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესებში“ შესატანი ცვლილებათა პაკეტი ბუნებრივი გაზის სექტორში მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებასა და მომხმარებლის უფლებების დაცვას ისახავს მიზნად. ცვლილებების მიხედვით, გაუმჯობესდება გამანაწილებელ ქსელზე მიერთების ტექნიკური სამუშაოების ხარისხი და მის მოვლა—პატრონობაზე სრული პასუხისმგებლობა კომპანიას დაეკისრება.

გარემოს დაბინძურებისთვის სანქციები მკაცრდება

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა ელგუჯა ხოკრიშვილმა ნარჩენების მართვის კოდექსთან დაკავშირებით გამკაცრებულ სანქციებსა და ჯარიმებზე ისაუბრა.

როგორც გარემოს დაცვის სამინისტროში აცხადებენ, საქართველოს მთავრობამ განიხილა კანონპროექტი “ნარჩენების მართვის კოდექსი”, რომლის მიხედვითაც ჯარიმები და სანქციები გარემოს დაბინძურებაზე მაქსიმალურად მკაცრდება. ჯარიმების მინიმალური ოდენობა 50 ლარით, მაქსიმალური ოდენობა კი, 5.000 ლარით განისაზღვრება.

მათივე ინფორმაციით, კანონპროექტის მიზანია ნარჩენების მართვის სფეროში სამართლებრივი საფუძვლების შექმნა ისეთი ღონისძიებების დანერგვისათვის, რაც ხელს შეუწყობს ნარჩენების წარმოქმნის პრევენციას, ხელახალი გამოყენების ზრდას, ნარჩენების გარემოსთვის უსაფრთხო გზით დამუშავებას, ენერგიის აღდგენასა და მათ უსაფრთხო განთავსებას. კანონპროექტი “ნარჩენების მართვის კოდექსი” ითვალისწინებს ნარჩენების მართვის თანამედროვე მიდგომებისა და ევროპული სტანდარტების დანერგვას საქართველოში. კანონპროექტი მნიშვნელოვანია საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების თაობაზე მოლაპარაკებების თვალსაზრისითაც, რადგან მის ერთ-ერთ მთავარ მიზანს გარემოს დაცვა წამოადგენს. სიახლეა ის, რომ დგინდება მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება. კოდექსის მიხედვით, მწარმოებელი ვალდებულია, რომ ისეთი პროდუქტისაგან, რომელიც შემდგომში სპეციფიკური ნარჩენი ხდება უზრუნველყოს თავისი პროდუქტისგან წარმოქმნილი ნარჩენების სეპარირებული შეგროვება, ტრანსპორტირება, რეციკლირება, აღდგენა და გარემოსათვის უსაფრთხო განთავსება.

კანონპროექტი ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ნარჩენების მართვის თვინინგის პროექტის “გარემოს დაცვის სამინისტროს შესაძლებლობათა გაძლიერება ნარჩენების მართვის სისტემის შემუშავებისა და გაუმჯობესების მიზნით საქართველოში” ფარგლებში შემუშავდა, რომელსაც ახორციელებს ავსტრიულ-ბულგარული კონსორციუმი. კანონპროექტის მომზადებაში მონაწილეობა მიიღეს ავსტრიელმა, ბულგარელმა და გერმანელმა საერთაშორისო და ადგილობრივმა ექსპერტებმა. კანონპროექტი შემუშავდა სხვადასხვა სამინისტროების ჩართულობით, ასევე არასამთავრობო და კერძო სექტორთან კონსულტაციების რეჟიმში. კანონპროექტი განსახილველად უახლოეს პერიოდში საქართველოს პარლამენტს წარედგინება.

ელისო ჩაფიძე — პრეზიდენტსა და მთავრობას შორის დაპირისპირების მიზეზი კონსტიტუციაა

პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ელისო ჩაფიძე უშიშროების საბჭოს სხდომასთან დაკავშირებით „არსებულ გაუგებრობას“ კონსტიტუციის მახინჯ ფორმას უკავშირებს. მისი თქმით, პრეზიდენტსა და მთავრობას შორის ამ თუ სხვა გაუგებრობისა და დაპირისპირების მიზეზი სწორედ საქართველოს კონსტიტუციაა.

„ინსტიტუციონალური დაპირისპირება სახეზეა. კონსტიტუცია, რომელიც ძალაში პრეზიდენტ მარგველაშვილის ინაუგურაციის შემდეგ შევიდა, საკმაოდ მახინჯია და ამას მისი ავტორებიც კი აღიარებენ. სწორედ არსებული კონსტიტუციური ფორმა განაპირობებს იმ კონფლიქტებს, რომელიც ძალთა გადანაწილების დროს წარმოიქმნება. ჩვენ ძლიერ საპრეზიდენტო ერთმმართველ სისტემას შევეჩვიეთ. არადა, აღმოჩნდა, რომ კონსტიტუციით მთელი ძალაუფლება პრემიერ- მინისტრის ხელშია. ასეთ შემთხვევაში, პრემიერი ვალდებულია, საკუთარი კონსტიტუციური უფლებები შეასრულოს. ქვეყნის საგარეო პოლიტიკის და უშიშროების განმსაზღვრელ ფუნქციებს, სწორედ პრემიერ — მინისტრი განსაზღვრავს და განკარგავს. ამიტომ, ვფიქრობ, რომ პასუხისმგებლობაც ანალოგიურად მასზე უნდა იყოს“,- განაცხადა ელისო ჩაფიძემ პორტალ „კვირას“ პრესკლუბში გამართულ ბრიფინგზე.

ჩაფიძემ წუხილი გამოთქვა, რომ პრეზიდენტ მარგველაშვილის მიერ მოწვეული უშიშროების საბჭოს სხდომის გამართვის თარიღი მინისტრებთან შეთანხმებული არ იყო, რის გამოც ისინი სხდომაზე დასწრებას ვერ ახერხებენ. საპარლამენტო უმრავლესობის წევრის განცხადებით, ბუნებრივია, პრეზიდენტი შეშფოთებულია რუსეთ — აფხაზეთს შორის ხელშეკრულების შესაძლო გაფორმებით, მაგრამ, ჩაფიძის განმარტებით, მარგველაშვილმა საკუთარი პოზიცია უნდა დააფიქსიროს.

„როგორც უშიშროების საბჭოს მდივანმა განაცხადა, უშიშროების საბჭოს სხდომა მაინც გაიმართება. საბჭო უფლებამოსილების ფარგლებში შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომელსაც მთავრობას წარუდგენს. სამწუხაროა, რომ თარიღი იმ მინისტრებთან რომლებიც საბჭოს ესწრებიან, წინასწარ შეთანხმებული არ ყოფილა. შესაბამისად, ისინი საბჭოს სხდომაში მონაწილეობას ვერ მიიღებენ. მიუხედავად ამისა, იმედი მაქვს, რომ ქვორუმი შედგება და საბჭო გარკვეულ რეკომენდაციებს შეიმუშავებს.“

როგორც ჩაფიძემ აღნიშნა, პრეზიდენტმა გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია და შეხედულება ბუნებრივია, უნდა დააფიქსიროს, თუმცა, აღმასრულებელი ფუნქცია პრემიერ-მინისტრის ხელშია: „მარგველაშვილი გახლავთ ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის გარანტი და შესაბამისად, უნდა ჰქონდეს შეშფოთება და საკუთარი პოზიციის გამოხატვის საშუალება, თუმცა უშუალოდ აღმასრულებელი ფუნქცია საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით აღმასრულებელ ხელისუფლებას და მის მეთაურს, პრემიერ- მინისტრს გააჩნია“, - განაცხადა ელისო ჩაფიძემ.

შეგახსენებთ, რუსეთ — აფხაზეთ შორის თანამშრომლობისა და ინტეგრაციის ხელშეკრულების საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს პრეზიდენტმა უშიშროების საბჭოს სხდომა 28 ოქტომბრისთვის მოიწვია. სხდომაზე მისვლას მისი რამდენიმე მუდმივი წევრი მათ შორის თავდაცვის და ფინანსთა მინისტრები საზღვარგარეთ მივლინების გამო ვერ ახერხებენ.

გაზგასამართ სადგურებზე კონტროლი განხორციელდება

მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების ჩამონათვალს გაზგასამართი სადგურები დაემატება. ჯარიმა დაწესდება გაზგასამართი სადგურის უსაფრთხოების წესების დარღვევაზე, ობიექტის ფარულად ექსპლუატაციაზე, პერიოდული ტექნიკური ისპექტირების ჩაუტარებლობასა და გაზგასამართ სადგურზე მომხდარი ავარიის შესახებ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოსთვის შეუტყობინებლობაზე.

შესაბამისი ცვლილებები „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში“ შედის.

როგორც კანონპროექტის განმარტებით ბარათშია აღნიშნული, გაზგასამართი სადგურების საქმიანობა მომეტებული საფრთხის შემცველია, რადგან ობიექტებზე გამოიყენება ბუნებრივი გაზის მაღალი წნევის (200-300 ატმ) დანადგარები და მოწყობილობები, რომელთა ექსპლუატაცია, მომსახურება და განთავსების წესი უნდა აკმაყოფილებდეს უსაფრთხოების მოქმედი ნორმების მოთხოვნებს.

„შესაბამისად, კანონპროექტის შემუშავება განპირობებულია გაზგასამართი სადგურების კონტროლის აუცილებლობის, ასევე გარკვეული ტექნიკური ხარვეზების გამოსწორების საჭიროებით“, - აღნიშნულია განმარტებით ბარათში.

დღეისთვის გაზგასამართი სადგურების საქმიანობა არანაირ კონტროლსა და ზედამხედველობას არ ექვემდებარება. გაზგასამართ სადგურებზე კონტროლის წესს „საშიში საწარმოო ობიექტის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონი ადგენდა, რომელიც ძალადაკარგულად არის გამოცხადებული.

საქველმოქმედო ორგანიზაციიდან მკურნალობისთვის მიღებული თანხა გადასახადისგან თავისუფლდება

საქართველოს საგადასახადო კოდექსში შედის ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადებული ცვლილება, რომელიც მიმართულია ქვეყნის ხელისუფლების მხრიდან საქველმოქმედო საქმიანობის მხარდაჭერისკენ, - ამის შესახებ ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა დღეს გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

მისი თქმით, ცვლილების თანახმად, ყველა ბენეფიციარი, რომელიც საქველმოქმედო საქმიანობის ფარგლებში მკურნალობის ან/და სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით, საქველმოქმედო ორგანიზაციიდან მიიღებს სარგებელს და დახმარებას, თავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისგან.

ამასთან, აღნიშნული სარგებლის თანხის გათვალისწინება არ მოხდება ფიზიკური პირის ოჯახის მიერ საგადასახადო წლის განმავლობაში მიღებულ შემოსავლებში და შესაბამისად, ამ ნაწილში თავისუფლდება ქონების გადასახადისგან.

აღნიშნული დებულებების მოქმედება გავრცელდება 2014 წლის პირველი იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

როგორც ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა აღნიშნა, ეს ინიციატივა ხელს შეუწყობს საქველმოქმედო საქმიანობის ფარგლებში უფრო მეტი თანხის მიმართვას და მნიშვნელოვანი შელავათი იქნება იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ისედაც დიდი სოციალური დანახარჯების წინაშე დგანან.

2015 წლის ეროვნული გამოცდებისთვის არჩევით საგნებს შესაძლოა სამოქალაქო განათლება დაემატოს

2015 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის არჩევითი საგნების სია ფართოვდება. გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის მაია მიმინოშვილის ინფორმაციით, არჩევითი საგნების სიას შესაძლოა სამოქალაქო განათლება დაემატოს.

მაია მიმინოშვილის თქმით, იმ შემთხვევაში, თუ უმაღლესი სასწავლებელი კონკრეტულ ფაკულტეტზე სავალდებულო საგნად სამოქალაქო განათლებას დაასახელებს, ამ ფაკულტეტზე სწავლების მსურველ სტუდენტებს ეროვნულ გამოცდებზე ამ საგნის ჩაბარება მოუწევთ.

„ჯერჯერობით ერთადერთი სიახლე არჩევითი საგნების ჩამონათვალშია. სავარაუდოდ, ჩამონათვალს დაემატება სამოქალაქო განათლება. ბუნებრივია ეს არჩევითია და გადაწყვეტილება კონკრეტულმა უმაღლესმა სასწავლებელმა უნდა მიიღოს, იქნება თუ არა ეს საგანი სავალდებულო კონკრეტულ ფაკულტეტზე“, - განაცხადა მიმინოშვილმა.

ცვლილებებამდე აბიტურიენტებს არჩევით საგნად ლიტერატურის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მათემატიკის, ისტორიის, გეოგრაფიის, ბიოლოგიის, ქიმიისა და ფიზიკის არჩევა შეუძლიათ.

ბაჩო ახალაიას 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა

„ნავთლუღის სპეცოპერაციის საქმეზე“ ბაჩო ახალაიას 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. აღსანიშნავია, რომ ბაჩო ახალაიას მეუღლემ ანი ნადარეიშვილმა, ახალაიას მიმართ მოსალოდნელი გამამტყუნებელი განაჩენის დადგომის შესახებ, გუშინ განაცხადა. ნადარეიშვილის თქმით, მოსამართლემ ზეწოლას ვერ გაუძლო. აღსანიშნავია, რომ ნავთლუღის სპეცოპრაციის საქმეზე ბაჩო ახალაია დღეს, 333-ე მუხლით, რაც სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას ითვალისწინებს, გამართლდა. 332-ე (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება) და 144-ე მუხლის(წამება) საფუძველზე კი პატიმრობა შეეფარდა. საქმეში ბრალდებულ დანარჩენ ორ პირს, ლევან ქარდავას და გიორგი მაზმიშვილს ნავთლულის სპეცოპერაციის ღამეს საკონტროლო გასროლით ახალგაზრდების მკვლელობა ედებათ ბრალად და მათ სასამართლომ 11 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. რაც შეეხება მეგის ქარდავას კი, რომელიც ბაჩო ახალაიასთან ერთად, ნავთლუღის ე.წ. სპეცოპერაციის საქმის ერთ-ერთ ეპიზოდში, რუსთავის №1 დაწესებულებაში პატიმრების ცემაზე იყო ბრალდებული 7 წლითა და 6 თვით პატიმრობა შეეფარდა, თუმცა ქარდავა საქართველოში არ იმყოფება. „თბილისის საქალაქო სასამართლომ ბაჩო ახალაია უდანაშაულოდ სცნო მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ბრალდებების საქმეზე, რამაც საზოგადოებისა და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების, ასევე ფიზიკურ პირთა კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია. სასამართლოს განცხადების მიხედვით, ახალაია და მეგის ქარდავა სასამართლომ დამნაშვედ სცნო მოხელის მიერ ჯგუფურად ორი ან მეტი პირის მიმართ ჩადენილი წამების ბრალდების საქმეზე, დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით თავისუფლებაშეზღუდული პირის მიმართ. ასევე ბაჩანა ახალაია ცნობილ იქნა დამნაშავედ ერთიანი მიზნითა და საერთო განზრახვით, ჩადენილი საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ, თავისთვის და სხვისთვის რაიმე გამორჩენის და უპირატესობის მისაღებად სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ბრალდების საქმეზე რამაც საზოგადოებისა და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია. ბაჩანა ახალაიასა და მეგის ქარდავას “ამნისტიის შესახებ საქართველოს კანონისა” და შთანთქმის პრინციპის გამოყენებით, საბოლოოდ სასჯელის სახედ და ზომად 7 წლისა და 6 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრათ,“ - აღნიშნულია სასამართლოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

გაუღეთ კარი, გავიგოთ, რამდენი ვართ?!

მიმდინარე წლის 5 ნოემბრიდან 19 ნოემბრის ჩათვლით ტარდება საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერა. ამინდური პირობების გათვალისწინებით, სექტემბრის თვეში ჩატარდა აღწერითი სამუშაოები ჩვენი ქვეყნის მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში, როგორიცაა:მესტია, ყაზბეგი, დუშეთი და ახმეტის ნაწილი (ომალოს თემი). დანარჩენ საქართველოში აღწერა დაიწყება ოთხშაბათს, 5 ნოემბერს, დილის 9 საათზე (თბილისის დროით). გამოკითხვა იწარმოებს 15 დღის განმავლობაში. მონაცამები შეიკრიბება 4-5 ნოემბრის ღამის 12 საათის მდგომარეობით, რაც გულისხმობს, რომ კითხვარებში არ შევა ინფორმაცია მოსახლეობის კრიტიკული მომენტის, ანუ 12 საათის შემდეგ დაბადებული ბავშვებისა და ამ მომენტამდე გარდაცვლილი პირების შესახებ.

აღწერა ტარდება საქართველოს ყველა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში მოსახლეობის შესახებ ზუსტი მონაცემების მისაღებად, ქვეყნის მოსახლეობის დემოგრაფიული ვითარების დადგენის, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრისა და საზოგადოების ინფორმირების მიზნით, აგრეთვე, სოფლის მეურნეობის შესახებ ძირითადი მაჩვენებლების მისაღებად.

„ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად, საქართველოს ყველა მოქალაქე, აგრეთვე, საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე პირი ვალდებულია, გაიაროს აღწერა.

„ოფიციალური სტატისტიკის შესახებ” საქართველოს კანონის 28-ე მუხლის შესაბამისად, ინდივიდუალური მონაცემები კონფიდენციალური, ანუ საიდუმლოა და არ ექვემდებარება გამჟღავნებას. რესპოდენტის შესახებ ინდივიდუალური მონაცემები ინახება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით. აღმწერ პერსონალს ეკრძალება რესპოდენტის შესახებ შევსებული აღწერის კითხვარის შინაარსის გაცნობა სხვა პირთათვის. ინდივიდუალური მონაცემების გამოყენების წესის დარღვევისთვის აღმწერ პერსონალს ეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით. ინდივიდუალური მონაცემები ვრცელდება მხოლოდ ნაერთი, განზოგადებული სახით. სწორედ ამიტომ, თითოეული მოქალაქე ვალდებულია, აღმწერთან იყოს გულწრფელი და ღია და არ შეიტანოს ეჭვი იმაში, რომ მისი პიროვნული ინფორმაცია იქნება გამჟღავნებული და გასაჯაროებული.

აღწერა ტარდება სპეციალურად მომზადებული საღწერო პერსონალის მიერ ინდივიდუალური მონაცემების შეგროვების, რესპედენტების გამოკითხვისა და კითხვარებში მონაცემების ჩაწერის გზით.

აღწერამ უნდა მოიცვას თითოეული საცხოვრისი და მასში მცხოვრები შინამეურნეობის ყველა წევრი, როგორც მუდმივად (ან დროებით არმყოფი), ასევე აღწერის კრიტიკულ მომენტში ადგილზე მყოფი ყველა დროებით მცხოვრები პირი.

აღწერას ექვემდებარება: მოცემულ საცხოვრისში მუდმივად მცხოვრები პირი; მოცემულ საცხოვრისში, მუდმივი ცხოვრების ადგილზე, დროებით არმყოფი პირი; მოცემულ საცხოვრისში დროებით მცხოვრები პირი, რომლის მუდმივი საცხოვრებელი ადგილი არის საქართველოს ტერიტორიაზე, მოცემული დასახლების ფარგლებს გარეთ; მოცემულ საცხოვრისში დროებით მცხოვრები პირი, რომლის მუდმივი საცხოვრებელი ადგილი არის სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე; პირი, რომელსაც არ აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, როგორც საქართველოს, ისე სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე; პირი, რომელიც ცხოვრობს ნებისმიერი ტიპის საცხოვრისში, მათ შორის საცხოვრებლად დაკავებულ საწარმოებსა და დაწესებულებების კუთვნილ ობიექტებში; უსახლკარო;

აღწერას არ ექვემდებარება: უცხო ქვეყნის ის მოქალაქე და მისი ოჯახის წევრები, რომელთაც საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე გააჩნიათ დიპლომატიური იმუნიტეტი და სხვადასხვა სახის პრივილეგიები (დიპლომატიურ წარმომადგენლობაში, საერთაშორისო ორგანიზაციებში მომუშავე უცხო ქვეყნის მოქალაქეები), აგრეთვე, უცხო ქვეყნის სამხედრო მოსამსახურეები, დისლოცირებულნი საქართველოს ტერიტორიაზე; დიპლომატიური წარმომადგენლობების, საერთაშორისო ორგანიზაციების საკუთრებაში ან დროებით სარგებლობაში არსებული საცხოვრისები, აგრეთვე, უცხო ქვეყნის სამხედრო ბაზები და მასზე არსებული საცხოვრისები.

ყველა ამ კატეგორიის ახსნა-განმარტება და აღწერის ჩატარების ყველა წესი დაწვრილებით არის გაწერილი საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) მიერ საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის კითხვარების შევსების შესახებ გამოცემულ ინსტრუქციაში.

აღწერას სწორედ საქსტატი ატარებს.

იმისათვის, რომ გაგვერკვია, თუ რა მდგომარეობაა და როგორ მოემზადნენ ამ მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო სამოქალაქო აქტის ჩასატარბლად ჩვენს მუნიციპალიტეტში, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კოორდინატორს ლუიზა ნასყიდაშვილს მივმართეთ:

- ქალბატონო ლუიზა, როგორც ვიცით, 10 წელიწადში ერთხელ ტარდება აღწერა. რატომ მაინცდამაინც ასეთი დიდი შუალედით?

- საერთაშორისო ორგანიზაციების, გაეროს რეკომენდაციების საფუძველზე, მსოფლიო პრაქტიკიდან გამომდინარე, აღწერა ათ წელიწადში ერთხელ ტარდება. ჩვენ 2002 წელს ჩავატარეთ წინა აღწერა, შეგვეძლო მომდევნო აღწერა 2010-2012 წლებში ჩაგვეტარებინა, მაგრამ ვერ მოხერხდა. ახლა კი, 2014 წელს მთავრდება აღწერის მსოფლიო პირველი რაუნდი და იწყება მეორე რაუნდი. ამაზე იქეთ გადადება შეუძლებელია. დღევანდელი ხელისუფლების ხელშეწყობით და ჩვენი ძალისხმევით, ვიმედოვნებთ, რომ აღწერა წარმატებით ჩაივლის.

* იყავით მზად აღწერისთვის, გაუღეთ კარი აღმწერს, ის სახელმწიფო წარმომადგენელია.

* ხელთ იქონიეთ პასპორტი ან პირადობის მოწმობა.

* გულწრფელად გაეცით პასუხი პერსონალური კითხვარის შევსებისას, თქვენი ინფორმაციის დაცულობა გარანტირებულია და არ საჯაროვდება.

- როგორ მოემზადეთ ამ შრომატევადი და მნიშვნელოვანი აქტის ჩასატარებლად?

- ჩვენს მუნიციპალიტეტს ქალაქშიც და სოფლებშიც, 60 აღმწერი მოემსახურება. მათ შესარჩევად ჩატარდა ტესტირება და გასაუბრება. 25 ოქტომბრიდან 28 ოქტომბრის ჩათვლით ჩატარდება ტრენინგი, სადაც დაწვრილებით გაეცნობიან ინსტრუქციას შესასრულებელი სამუშაოს შესახებ. ისინი მიიღებენ სპეციალურ თეთრ კეპებს აღწერის ლოგოთი, ბიჯს, სადაც მათი პირადი მონაცემები ეწერება და მოქალაქეს შეუძლია დარწმუნდეს აღმწერის უფლებამოსილებაში და სპეცჩანთას, სადაც პერსონალური კითხვარი და საწერი საშუალებები იქნება განთავსებული. აღმწერებს კორდინაციას გაუწევს 12 ინსტრუქტორ-კორდინატორი. ისინი გადანაწილდებიან 4-5 აღმწერზე. თავის მხრივ აღმწერები კი მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით ინიშნებიან. აღწერა დაიწყება 5 ნოემბერს დილის 9 საათზე. მოსახლეობას მინდა ვთხოვო, რომ გაგებით და პასუხისმგებლობით მოეკიდონ ამ პროცესს, ხელთ იქონიონ პირადობის მოწმობა ან პასპორტი, ენდონ და სწორი ინფორმაცია მიაწოდონ აღმწერს მათი ქონების და საქმიანობის შესახებ, რაც საიდუმლოდ ინახება და არ საჯაროვდება სხვა პირთათვის, აქვე მინდა მადლობა გადავუხადო ჩვენს კორდინატორს საქსტატიდან ქალბატონ თამარ პოპიაშვილს, რომელიც ამომწურავად განგვიმარტავს ინსტრუქციის თითოეულ პუნქტს და კვალიფიციურად გვპასუხობს ყველა შეკითხვაზე. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში მხარში გვიდგას და შესაბამის დახმარებას გვიწევს საქსტატის თელავის სამხარეო სამმართველო და მისი უფროსი ლევან ჯანდიერი. ასევე მადლიერების გრძნობით მინდა ვთქვა, რომ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა და პირადად გამგებლის პირველი მოადგილე სოლომონ ღორაშვილი, რომელიც ხელმძღვანელობს აღწერის ჩატარებას ჩვენს მუნიციპალიტეტში, ყველა პირობას გვიქმნიან მასამზადებელი სამუშაოების ნორმალურად ჩასატარებლად. იმედს გამოვთქვამ, რომ ქვეყნის მასშტაბით და ჩვენს მუნიციპალიტეტშიც აღწერა წარმატებით ჩაივლის და შევასრულებთ ჩვენს მისიას-გავარკვევთ, რამდენი ადამიანი ცხოვრობს საქართველოში .

- ამჯერად რა ეტაპზე ხართ, რას აკეთებთ?

- ვიდრე 25 ოქტომბერს ტრენინგები დაიწყება, ჩვენ ვითვლით, ვახარისხებთ და ვანაწილებთ სააღწერო ინვენტარს თითოეული აღმწერისთვის, რომელიც მათ აღწერის დაწყების წინა დღეს გადაეცემათ.

- ქალბატონო ლუიზა, ახლა აღწერის ჩატარებით ხართ დაკავებული. რას საქმიანობთ დანარჩენ დროს?

- მე გახლავართ საქსტატის კორდინატორი დედოფლისწყაროში და მევალება მთელ ტერიტორიაზე ჩავატარო შერჩევითი კვლევები სოფლის მეურნეობაში, მრეწველობაში, საგარეო ეკონომიკურ საქმიანობაში, ვაჭრობაში. სამ თვეში ერთხელ მომდის დირექტივა ზემდგომიდან კვლევის ჩასატარებელი ობიექტის შესახებ. ამას ისინი არჩევენ საერთო ბაზიდან. მე კი ამ დავალებას ვასრულებ და ანგარიშს ვუგზავნი. საერთო ანალიზი მუნიციპალიტეტის და ქვეყნის მასშტაბით მუშავდება საქსტატში.

- გმადლობთ, ქალბატონო ლუიზა, ვფიქრობ, დროულად მივაწოდეთ ინფორმაცია ჩვენს მკითხველს. იმედია, ისინი მომზადებული შეხვდებიან ამ პროცესს. გისურვებთ წარმატებებს.

ნაირა გორაშვილი

ისწავლე და ასწავლე

„მისგან ნასწავლი ყოველი სიტყვით
წლები, წლები გაქვს სატარებელი,
და როცა ცოდნა იმძლავრებს შენში,
გაგახსენდება მასწავლებელი.“

პირველი საჯარო სკოლის 1 ბ)კლასს მათემატიკის ღია გაკვეთილს ვეწსრები. ერთი შეხედვით ვითომდა უბრალო ანა-ბანას და 1+1-ს შესაძლოა მარტივად ვუყურებთ უფროსები, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ყველამ ვიცით, მათემატიკა არის მეცნიერება, რომელსაც აღწერენ როგორც მეცნიერებას რიცხვების, გეომეტრიული ფიგურების და გარდაქმნების შესახებ, რომელიც ეფუძნება აბსტრაგირებას, დედუქციურ მსჯელობას და სიმბოლურ ლოგიკას, უკვე ამ ეტაპიდანვე მნიშვნელოვანი ხდება ეს საგანი და საერთოდ, თუნდაც ის 1+1-იც. სწორედ აქედან გამომდინარე მშობლები დიდი ინტერესით შევცქერით ჩვენს შვილებს, გვაინტერესებს, როგორები არიან ისინი ამ საგანში, რამდენად სხარტია მათი გონება, რამდენად ზუსტი და დახვეწილი მათი მიდგომები, მსჯელობა და საწყისშივე ვცდილობთ განვსაზღვროთ, თუ რა შესაძლებლობებისანი არიან ისინი, აქედანვე ვცდილობთ ამოვიცნოთ, თუ რა შანსი აქვთ ჩვენს პატარებს მომავალ ცხოვრებაში თავისი ადგილია დასამკვიდრებლად.

პედაგოგი მარინე ინასარიძე ჩვეული სიფრთხილით და კვლავ დიდი რუდუნებით უდგება მორიგი გაკვეთილის ჩატარებას და მსუბუქად და შეპარვით ასწავლის პატარა საიდუმლოს ბავშვებს. გადასცემს, რომ მათემატიკა არის ზუსტი მეცნიერება, რომლის შემდეგაც გაკვეთილი გახსნილად გამოცხადდა. გაკვეთილს სახელად „ვისწავლოთ და ვასწავლოთ“ შეარქვეს. ჯერ მხოლოდ მაზად მოხატული რიცხვი, წრე, თუ ბურთი. მოულოდნელად მარინა მასწავლებლის ხელში ჩნდება ჯადოსნური ტომარა, რომელშიც ბავშვები თვალდახუჭული ჰყოფდნენ ხელს და რიგრიგობით იღებდნენ გეომეტრიულ ფიგურებს, ციფრებს, რომელზეც სავსებით თამამად და თავდაჯერებულად მსჯელობდნენ, -ეს კვადრატია, კვადრატს ოთხი ტოლი გვერდი და ოთხი კუთხე აქვს, ეს სამკუთხედია, რომელსაც სამი გვერდი და სამი კუთხე აქვს, ციფრი სამიანი კენტი რიცხვია, ის შედგება ერთისგან, ერთისგან და კიდევ ერთისგან, ასევე ერთისგან და ორისგან, სამისგან და ნულისგან. ეს იმ „ანა-ბანას“ ციფრთა შემეცნებაა, რომელიც ოდესღაც ჩვენ ყველამ ერთად ვისწავლეთ და გამოვიარეთ, რითაც გავიზარდეთ და ახლა უკვე გვავიწყდება, რომ ეს ბავშვობაში ჩვენც ასე შევისწავლეთ. საინტერესო გახლდათ ბავშვთა სწრაფი გონებრივი აზროვნებისთვის ბურთით თამაში, რომლის მიწვდისას პედაგოგი ამბობს რიცხვს და მოსწავლისგან ითხოვს მისი წინმდგომი ან მეორე შემთხვევაში მისი მომდევნო რიცხვი დაასახელოს. შემდეგ მიუმატეს და გამოაკლეს ციფრთა მარაოს მეშვეობით. საინტერესო და შემოქმედებითი გახლდათ პედაგოგის მიდგომა ციფრებისა და ყოველი ახალი ტერმინის სახალისოდ შემეცნების მეთოდი. მარინა მასწავლებელმა ჯერ თავზე მოარგო ბავშვებს ქაღალდის გვიგვინები, რომელზეც ერთიდან ხუთამდე ციფრები იყო გამოსახული და გვირგვინოსნებს ზრდადობის და კლებადობის მიხედვით მოსთხოვა დამდგარიყვნენ, ხოლო შემდეგ, ცოტა გართობის და განმუხტვის დრო დადგა. პედაგოგმა სიმღერ-სიმღერით წაიყვანა სათევზაოდ მოსწავლეები და თავის ხელნაკეთი პატარა ანკესით ათევზავა ისინი, ნადავლი უხვი და მაგალითებით სავსე გამოდგა, ქაღალდის თევზებზე, რომლებიც მაგნიტურ ანკესს ეწებებოდნენ, მაგალითები ეწერა, რომელიც მოსწავლეებს უნდა ამოეხსნა. 2+2=4; 3-1=2 და ა.შ. ერთიდან ოთხამდე რიცხვების მიმატება გამოკლების შემდეგ, პედაგოგმა ბავშვებს ხუთიანი გააცნო, შემდეგ დაფაზე დაიწერა მშვენიერი ხუთიანი და ბავშვებს ჰაერში ხელითაც მოახაზინა. კიდევ უფრო სახალისო გახდა გაკვეთილი, როცა პატარებმა მარინე მასწავლებლის მიერ ნასწავლი ცნობილი სიმღერა ორ ჯუჯაზე შეასრულეს და თან ერთმანეთში გაითვალეს. ეს ყველაფერი ორმაგად ლამაზი გამოჩნდა იმ ფონზე, რომ ამ სიმღერას პიანინოზე აკომპანიმეტს თავად მარინე მასწავლებელი ასრულებდა. რომელიც მათემატიკის გაკვეთილს იმით დაუკავშირეს, რომ მასში ბევრი ორი და სამი იყო ნახსენები, თანაც ამ სიმღერაში ხომ ჯადოსნური სამი რიცხვი იყო ნახსენები, რომელიც აუცილებლად აქედანვე უნდა ქალბატონ მარინე ინასარიძის მიერ გაწეული ღვაწლი პატარა აღსაზრდელებისადმი ნამდვილად გამართლებული აღმოჩნდა, რადგან ყველა ბავშვი ერთნაირად აქტიური, სხარტად მოაზროვნე და ზუსტი და სწორი პასუხებით გამორჩეული გახლდათ. ვფიქრობ, ეს დღე მათი, პედაგოგის და მოსწავლეების გამარჯვების დღე იყო.

და კიდევ, მიმაჩნია, რომ ასეთი ღია გაკვეთილები ხშირად უნდა გაიმართოს, რომელიც საშუალებას აძლევს მშობელსაც, პედაგოგსაც და მოსწავლესაც ყველამ ერთდროულად წარმოაჩინონ თავისი შესაძლებლობები. რადგან ეს გახლავთ შანსი, მასწავლებელმა დაგვანახოს თავისი მოსწავლეები მშობლებს, რათა უკეთ გავიცნოთ შვილები, გავიგოთ როგორია ის საზოგადოებაში, რა შესაძლებლობები აქვს, რა ნაკლი აქვს და რა კუთხით აქვს სამუშაო საკუთარ შვილთან.

ლალი მეხრიშვილი

პენსიის ზრდა კერძო საპენსიო ფონდების შექმნის ხარჯზე მოხდება

ეკონომიკის სამინისტროში აქტიურად მინდინარეობს მუშაობა საპენსიო რეფორმაზე, რომელიც დაგროვებით სისტემაზე გადასვლას ითვალისწინებს. მუშაობა ამ მიმართულებით ცოტა ხნის წინ დაიწყო და მასში აქტიურადაა ჩართული მსოფლიო ბანკიც. როგორც ეკონომიკის სამინისტროში განმარტავენ, მსოფლიო ბანკის როლი საკონსულტაციო ხასიათისაა და ძირითადად ამ სფეროში საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებაში მდგომარეობს.

„მსოფლიო ბანკის სპეციალური სამუშაო ჯგუფი ახორციელებს საქართველოში საპენსიო სისტემის რეფორმის შესაძლო მოკლევადიანი, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი რისკების შეფასებას და იძლევა შესაბამის რეკომენდაციებს, თუმცა მათი გათვალისწინება სავალდებულო არაა,“- აცხადებენ სამინისტროში.

დაგროვებითი საპენსიო სისტემის არსი იმაში მდგომარეობს, რომ პიროვნება საპენსიო სახსრების აკუმულირებას მუშაობის პერიოდში საკუთარი შემოსავლების ნაწილის საპენსიო ფონდში შეტანის საფუძველზე ახდენს. საპენსიო ასაკის დადგომის შემდეგ კი უკან იღებს დარიცხულ პროცენტებთან ერთად, ყოველთვიური პენსიის სახით. შესაბამისად, დღეს საქართველოში მოქმედი "ჭაყ ას ყოუ გო" საპენსიო სქემისგან განსხვავებით, რომელიც საბიუჯეტო დაფინანსებას ექვემდებარება, დაგროვებითი სისტემა მეტწილად თავად პიროვნების მიერ საპენსიო ფონდში წარსული შენატანების სიდიდეზეა დამოკიდებული. "pay as you go" სისტემის პირობებში, პენსიონერთა შენახვა დიდწილად გადასახადის გადამხდელებს აწვება ტვირთად, ამიტომ ეს სისტემა განსაკუთრებით პრობლემური მაშინ ხდება, როცა პენსიონერთა რიცხვი სწრაფად იზრდება.

ოფიციალური სტატისტიკით, 2005 წელს საპენსიო ასაკის საფუძველზე პენსიის მიმღებთა რაოდენობა საქართველოში 549 902 ადამიანს შეადგენდა, 2013 წლისთვის კი ეს რიცხვი 25%-ით მეტია და 686 675-ს შეადგენს. ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ უკანსაკნელ წლებში პენსიებზე სახელმწიფო ბიუჯეტის საშუალოდ 14-15% იხარჯება, იგი მაინც საკმაოდ მიზერულ თანხას, თვეში 150 ლარს შეადგენს და მისი ზრდა ახლო მომავალში, მათ შორის არც 2015 წლის ბიუჯეტში ჯერჯერობით გათვალისწინებული არ არის.

აღსანიშნავია რომ დღეს საქართველოში მოქმედებს 2 კერძო საპენსიო ფონდი: "ჯიპიაი ჰოლდინგი" 2001 წლიდან და "ალდაგი ბი-სი-აი" 2005 წლიდან. 2012 წლის მონაცემებით, ამ საპენსიო სქემებში ჯამში 17 935 ადამიანი იღებდა მონაწილეობას, თუმცა მათი საპენსიო სქემები აბსოლუტურად ნებაყოფლობითია და სახელმწიფოს მხრიდან ამ ფონდებში თანხების დაგროვების მიზნით რამე მასტიმულირებელი ან იძულებითი ღონისძიებები არ ჩატარებულა.

კონკრეტულად რა ფორმით განხორციელდება საპენსიო რეფორმა ჯერჯერობით უცნობია, თუმცა საქართველოს 2015-2018 წლის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის მიხედვით, შენატანებს საპენსიო ფონდში სავალდებულო სახე ექნება.

როგორც ეკონომიკის სამინისტროში აცხადებენ, რეფორმის შემდეგ მინიმალური სოციალური პენსია დარჩება უცვლელი და მას მიიღებს ყველა, მაგრამ ის პირები, ვინც საპენსიო ფონდში შენატანებს ახორციელებდნენ, ამ ფონდიდან მიიღებენ შესაბამის დანამატებს პენსიის სახით. ამასთანავე, ფონდში შენატანები არ დაექვემდებარება დაბეგვრას. სახელმწიფოს როლი ამ სისტემის ფუნქციონირებაში ძირითადად კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემის შესაბამისი კანონმდებლობისა და ინსტიტუციური მექანიზმების შექმნაში გამოიხატება, ამავდროულად, მოსახლეობის მხრიდან ამ ფონდების საშუალებით, საპენსიო თანხების დაზოგვის სტიმულირების მიზნით, კერძო პირის ყოველ შენატანს სახელმწიფოს მხრიდანაც დაემატება გარკვეული ოდენობის თანხა.

საინტერესოა, როგორია საერთაშორისო გამოცდილება მსგავს კერძო საპენსიო სისტემებთან დაკავშირებით. ამ მხრივ ძირითადად ორი ტიპის მოდელი არსებობს.

პირველი მოდელი ითვალისწინებს ასაკის მიხედვით სახელმწიფოსგან მიღებული გარანტირებული პენსიის გაუქმებას და ამ ფუნქციის გადაბარებას მთლიანად კერძო საპენსიო ფონდებზე, რომლებიც სახელმწიფოს მკაცრი კონტროლის ქვეშ იმყოფება. თავად დასაქმებულები კი ვალდებულნი არიან ამ ფონდებში გადარიცხონ შემოსავლის გარკვეული ნაწილი. ეს მოდელი პირველად ჩილეში გამოსცადეს 1980 წელს, საპენსიო რეფორმის შემდეგ, მოგვიანებით კი სხვა ლათინოამერიკულ ქვეყნებშიც დანერგეს. აღსანიშნავია, რომ ამ სისტემამ ლათინოამერიკის ქვეყნებში კაპიტალის

(გაგრძელება გვ. 6)

ჩვენ ვგმობთ ყველა სახის ძალადობას!!! სიტყვიერს, ფსიქოლოგიურს, ეკონომიურს, მორალურს, ფიზიკურს!

მას შემდეგ, რაც ყველა გავხდით მოწმე, რომ ბოლო ერთი წლის მანძილზე ჩვენს ქვეყანაში ოჯახური ძალადობით გამოწვეული მკვლელობების რაოდენობამ პიკს მიღწია, არასამთავრობო ორგანიზაციები, მთავრობა, პარლამენტი, მედია, სამართალდამცავები აქტიურად განიხილავენ საკითხს იმის თაობაზე, თუ რა მექანიზმები უნდა შეიმუშაონ და რა არის იმისთვის საჭირო, რომ ძალადობის მსხვერპლთა სიკვდილიანობა ავიცილოთ თავიდან. საუბრობენ იმაზე, რომ კანონი უნდა გამკაცრდეს, იმაზე, რომ პოლიცია უმოქმედოა, რომ ეს საკითხი სამთავრობო დონეზე უნდა გადაწყდეს და ა.შ. ეს მოსაზრება გარკვეულწილად სწორია, მაგრამ არავინ საუბრობს ყველაზე მთავარზე,მოუსმინონ ხალხის დამოკიდებულებას ამ საკითხისადმი და რაც ყველაზე მთავარია, მოუსმინონ ძალადობის მსხვერპლებს, რას ითხოვენ თავად ძალადობის მსხვერპლნი და ამით ბევრად გაუადვილდება სახელმწიფოს იმ მექანიზმის შემუშავება, თუ რა უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ ასეთ რეალობას თვალი აღარ გავუსწოროთ!

- „მიმაჩნია, რომ უპირველეს ყოვლისა ის სერიალები უნდა გაუქმდეს ქართულ ტელესივრცეში, რომელიც ჩვენი ტრადიციებისადმი უპატივცემმულობას და ძალადობას, მკვლელობებს, იარაღის ტრიალს უწევს პროოპაგანდას, დაუშვებელია, საღამოს საათებში, როდესაც მთელი ოჯახი ერთად იკრიბება და ტელევიზორთან ახლოს მოიკალათებს, ტელევიზიები მხოლოდ საინფორმაციო გადაცემებითა და სერიალებით იყოს გაჯერებული, ამ დროს უნდა გადიოდეს საბავშვო გადაცემებიც, შემეცნებითიც, კულტურულ ისტორიული მომიხილვები. თუმცა ტელევიზიები ზონდერებივით მუსაობენ მასებზე, ან პოლიტიკური გადაცემებით და პოლიტიკოსების ურთიერთ დაპირისპირებებით, კამათით გაგვიბრუონ თავი, ან სერიალებით გამოაჩერონ ხალხი. მართალია, ისინი კერძო კომპანიები არიან და მხოლოდ კომერციულ ჭრილზე მუშაობენ და სულ არ აინტერესებთ ის, თუ როგორ ოსტატურად გამოსდით ქართველი ხალხის გადაშენების და დეგრადაციის მცდელობა,მაგრამ რაღაც დოზით მაინც ხომ შეიძლება დაფიქრდნენ ხალის ბედზე და მომავალზეც?!“ აცახდებს მოსახლეობის ერთი ნაწილი, მეორენი კი გაოცებულები კითხულობენ იმას, თუ სად დაიკარგა ჭეშმარიტი ქართველი კაცის სახე, რომელიც ოდითგან სიდინჯით, გამჭრიახობით და გაწონასწორებულობით გამოირჩეოდა, რომელიც ქალს მართლაც სუსტად აგრძნობინებდა თავს და მის მიმართ დიდი კრძალვა, დიდი თაყვანისცემა ჰქონდა! არიან ადამიანები, რომლებიც ძალადობას ადამიანთა გაუნათლებლობას და მათ ვიწრო გაგებას, დაბალ შეგნებას მიაწერენ, რადგან ვერ წარმოუდგენიათ შეგნებულმა და განათლებულმა ადამიანმა ძალადობის რაიმე ფორმა გამოამჟღავნოს! არიან ისეთებიც, რომლებიც ძალადობის მსხვერპლს მიიჩნევენ გონებრივად დაქვეითებულებად, თუმცა რამდენიც არ უნდა ვიმსჯელოთ, ერთი ადამიანის მიერ მეორე ადამიანზე ძალადობას არავიტარი გამართლება არ აქვს, მით უმეტეს განვითარების ამ ეტაპზე. ძალიან ბევრი ადამიანი თვლის, რომ მასზე არანაირი ზეწოლა არ ხორციელდება და არაა გამორიცხული, რომ ვერც კი ხვდებოდეს, რომ ის ფსიქოლოგიური ან ეკონომიური ძალადობის მსხვერპლია. ისიც გამოკვლეულია და დადასტურებული, რომ საქართველოში ყოველი მეორე ქალი ძალადობის მსხვერპლია. ეს რა თქმა უნდა მაინცდამაინც დალურჯებამდე ცემას არ ნიშნავს, მაგრამ არც ისაა გამორიცხული, რომ ერთი ადამიანი ისე ზემოქმედებდეს ფსიქოლოგიურად მეორეზე, რომ მსხვერპლმა სავსებით გაუგებარი და წარმოუდგენელი სიგიჟეც კი ჩაიდინოს.

მაშინ რას ვეკეთებთ ჩვენ საზოგადოება?!

საქართველოში ძაადობის წინააღმდეგ არაერთი ინსტიტუტი, სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაცია ილაშქრებს და მუდმივად უწევენ პროპაგანდას -არა ძალადობას! თუმცა დღევანდელი შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, ფაქტია, რომ მათ არაეფექტურად იმუშავეს და აქედან გამომდინარე ძალიან დიდი ჩავარდნა განიცადეს. მ

ჩვენი მუშაობის პრაქტიკიდან გამომდინარე უამრავი ძალადობა გაგვიშუქებია. დაგვიწერია შვილის მიერ მამის მიმართ სიტყვიერ შეურაწყოფაზე, ცოლ-ქმრის ეკონომიურ ძალადობაზე, შვილის მიერ მშობლების ძალადობაზე, ქმრის მიერ ორსული ცოლის მიმართ ძალადობაზე, როდესაც ქმარი ცოლს და შვილებს ჯოხით სცემს და მცირეწლოვან შვილებს ტყეში შეშისთვის წასვლას აძალებს, გვქონია ცოლის მიერ ქმრის მიმართ ძალადობის შემთხვევაც კი, როდესაც ცოლის გაუთავებელი ჩხუბი და მუქარა ქმარს თრგუნავდა, რომელი ერთი ჩამოვთვალოთ, თუმცა, თუ არ ჩავთვლით ერთეულ შემთხვევებს, არცერთი ფაქტი არ ყოფილა გამოძიებული ან არასამთავრობოების გამოკვლეული და დაგმობილი.

პრაქტიკიდან გამომდინარე, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამგვარ მასალაზე მუშაობისას რამდენჯერაც ძალადობის მსხვერპლ ქალბატონზე გამოვაქვეყნეთ სტატია, იმდენჯერ განხორციელდა ჩემი, როგორც ჟურნალისტის სატელეფონო ზარი შესაბამის არასამთავრობოში, რომლებიც უშუალოდ ძალადობასთან ბრძოლის ხაზით მუშაობენ, თუმცა აღმოჩენილა, რომ პრაქტიკულად არასამთავრობოები ძალადობის მსხვერპლის მდგომარეობით მხოლოდ სატელეფონო ზარებით და მოკითხვით შემოიფარგლებოდა. მათ რამდენჯერმე დარეკეს, მოიკითხეს მსხვერპლი და ამით დაიხურა საკითხი. პრაქტიკულად ადგილზე არცერტი ორგანიზაცია არ ჩამოსულა და მსხვერპლი ადგილზე არ მოუნახულებია, არ გაუწევია პროპაგანდა მსხვერპლის საახლობლოში, სოფელში, რომ ძალადობა დასაგმობია. მხოლოდ სატელეფონო საუბრები კი საქმეს ვერ აგვარდებს. კიდევ ერთი მომენტი, მსხვერპლს უფრო მეტად სჭირდევება თავშესაფარი მოძალადისგან განრიდებისთვის, ვიდრე ის ფსიქოლოგიური თუ იურიდიული კონსულტაცია, რასაც არასამთავრობოები სთავაზობენ. რაც შეეხება თავშესაფარს, იქ ცხოვრების უფლება რომ მოიპოვოს, მანამდე მას კანონით ჯერ სტატუსი უნდა მიენიჭოს, სტატუსის მინიჭება კი , იმდენ პროცედურებს, საბუთების მოგავარებას და თვეების დროს მოითხოვს, რომ მსხვერპლს, რომელსაც ძალიან უჭირს, ამდენი მოცდის დრო ნამდვილად არ აქვს. აქედან გამომდინარე ის თავად ამბობს უარს ამდენი წვალების ფასად მიღებულ დახმარებაზე. არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელსაც ძალადობის მსხვერპლი თავშესაფარს სთხოვს და ის უცხადებს, რომ საქართველოში მხოლოდ ოცი ადგილია, სადაც შეიძლება რამდემნიმე კვირა გააჩერონ, ხოლო შემდეგ თავად უნდა მიხედოს თავის თავს, ცოტა ძნელი წარმოსადგენია მათთან ზარის განხორციელებით საქმეს ეშველოს. გამომდინარე აქედან, ვაწყდებით რეალობას, რომ ეს საკითხი სახელმწიფომ უნდა აიღოს თავის თავზე და თავშესაფართა ადგილების რაოდენობის გაზრდაზე იზრუნოს. ხშირია შემთხვევები, როდესაც სწორედ თავშესაფრების არარსებობის გამო, ჟურნალისტები ვიღებთ იმ შუამდგომლობის ტვირთს, რასაც მსხვერპლის დახმარება ჰქვია, იქიდან გამომდინარე, რომ მსხვერპლი გვებრალება და ვხედავთ, რომ ჰაერშია გამოკიდებული, ვშუამდგომლობთ ადგილობრივ ხელმძღვანელობასთან, რათა ბინის ქირით უზრუნველჰყოს დაზარალებული.

ცალკე საკითხია პილიციის გულგრილობის საკითხი, რომელიც ბოლო დღეებში ეთერით გაჟღერდა და რასაც ყოველგვარი სუბიექტურობის გარეშე არ ვეთანხმები. პოლიცია ძალადობას შველის მხოლოდ მაშინ, თუ მსხვერპლი ნაცემია და ეს ექსპერიზით დროულად დასტურდება. სხვა შემთხვევაში პოლიციას მხოლოდ გაფრთხილების, შენიშვნის მიცემის, ან ხელწერილის ჩამორთმევის უფლებას აძლევს კანონი. უსამართლოა დაადანაშაულო პოლიცია გულგრილობაში, როდესაც მსხვერპლები აცხადებენ, რომ მათ გამოძახებაზე სამართალდემცველები დროულად მივიდნენ, თუმცა კანონი არ აძლევთ მოზალადის დასჯადობის უფლებას. ისინი გაფრთხილებებით და ორივე მხარის განეიტრალებით ტოვებენ გამოძახების ადგილს. მართალია სამართალდამცველმა იცის, რომ ამ დროს უნდა მოახდინონ განრიდება, მაგრამ ამის შესაძლებლობას დღევანდელი პირობები არ იძლევა.

ამ შემთხვევაში საზოგადოებას უჩნდება პრეტენზია, მაინცდამაინც დაჟეჟილი და ნაცემი უნდაიყოს მსხვერპლი, რომ მან შედეგს მიაღწიოს?! ცხადია, აქ ერთი ნიუანსი უნდა იქნას გათვალისწინებული, თუ ადმინისტრაციული ერთეულის რწმუნებული, პოლიციის უბნის რწმუნებული და მსხვერპლის მეზობლები, გარშემომყოფები ადასტურებენ, რომ ამათუ იმ ოჯახში ნამდვილად ადგილი აქვს ან გჰქონდა ძალადობას, ცხადია აქ კანონმა გარშემომყოფების დასტური უნდა ჩათვალოს ალიბად და ამით უნდა გაამყაროს სამართალდამცველთა მოქმედება. რათა არ მივიდეთ იმ ფატალურ შედეგებამდე, რასაც ძალადობით გამოწვეული სიკვდილიანობა ჰქვია.

დღეს საქართველოში იმაზე მეტი ძალადობის მსხვერპლია, ვიდრე ჩანს, მაგრამ ისინი სწორედ იმის გამო არ აცხადებენ ხმამაღლა, რომ იციან მათ ვერავინ დაეხმარებათ. ხშირია შემთხვევები, როდესაც ქალები ნაცემებიც არიან, თუმცა თავმოყვარეობის შელახვის გამო მალავენ ამას, დანაშაულის დაფარვა კი, უკეთ აბრიყვებს მოძალადეს, მან იცის, რომ თუ ერთხელ ეპატია, მას ყოველთვის ეპატიება. სწორედ ამიტომ დამნაშავის წამქეზებლები ხშირად თავმოყვარე ქალები ხდებიან ხოლმე, რომელებიც მასზე განხორციელებულ ძალადობას საგულდაგულოდ მალავენ, რაც რა თქმა უნდა ცალკე პრობლემაა და ცხადია ესიც ხშირად ფატალურად მთავრდება.

ცალკე გამოკვეთილია მსხვერპლთა კატეგორია, რომელსაც უნდა რომ გაამხილოს თავისი პრობლემა და გაასაჯაროს კიდეც, თუმცა ის გასაჯაროების შემდეგაც შიშია, რადგან არ იცის ამის მერე რა მოხდება, მან კარგად იცის, რომ ამ ყველაფერს გაცილებით ცუდი რეაქცია მოყვება მოძალადისგან და იძულებულია, მხოლოდ გამოუვალ შემთხვევამდე მისულმა განაცხადოს საზოგადოების წინაშე, რომ მასზე ძალადობენ.

არებობს მეასმე ფაქტორიც, ვფიქრობ აქ ყველაზე ნაკლებადაა საჭირო კანონი, ამ შემთხვევაში აღნიშნულ სენს საზოგადოების მეტი განათლებით მოვერევით, საჭიროა მეტი ინფორმაციის მიწვდა, რომ შეიცვალოს ძალადობის მსხვერპლთა მიმართ დამოკიდებულება. ეს უპირველეს ყოვლისა ჩვენი საზოგადოების მზაობის საკითხია. საზოგადოება ხშირად მოძალადის მხარს უფრო იჭერს და მათ მაგიერ ისევ მსხვერპლ ქალბატონებს ესვრიან ტალახს, დიახ მსხვერპლი ხშირად დასაცინი საგანი ხდება მავანთათვის, ხშირად მას ამორალურ ან გონებრივ შეზღუდულის იარლიყსაც აკრავენ. არადა რა მნიშვნელობა აქვს მასისთვის მსხვერპლი გონებრივად შეზღუდულია, თუ სოციალურად დაბალი ფენა, ის ძალადობის მსხვერპლია და ამაზე ყველამ უნდა ავიმაღლოთ ხმა. ვფიქრობ, ამ კუთხით სწორედ საზოგადოების მოუმწიფებლობის ბრალია, რომ ეს პრობლემა არათუ გვარდება, რაც დრო გადის უფრო მეტად იდგამს ფესვებს . მანამდე კი, სანამ ჩვენ მსხვერპლის მიმართ თანაგრძნობას და მხარდაჭერას ვისწავლიდეთ, მანამ, სანამ მსხვერპლის დაცინვას და გაქილიკებას შევშვებივართ და მას სულიერად გვერდში დავდომივართ, ვხედავთ, რომ ძალადობისგან გამოწვეული სიკვდილიანობა სულ უფრო მეტ მასშტაბებს იღებს. რაც უპირველეს ყოვლისა უარყოფითად აისახება ჩვენს მომავალ თაობაზე.

მოდით დავფიქრდეთ ჩვენს მომავალზე და კიდევ ერთხელ ყველამ ერთად ვუთხრათ უარი ძალადობას!

ლალი მეხრიშვილი

პენსიის ზრდა კერძო საპენსიო ფონდების შექმნის ხარჯზე მოხდება

(მეოთხე გვერდიდან)

ბაზრის განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი და დღესდღეისობით ამ ქვეყნებში საპენსიო ფონდები ერთ-ერთ წამყვან ფინანსურ ინსტიტუტებს წარმოადგენენ.

მეორე მოდელის ძირითადი არსი იმაში მდგომარეობს, რომ პენსია იყოფა სამ სვეტად. პირველი სვეტი სახელმწიფოსგან მიღებული მინიმალური საპენსიო უზრუნველყოფაა და იგი ყველასთვის გარანტირებულია მიუხედავად შრომითი სტაჟისა და საპენსიო ფონდში შენატანების მოცულობისა. მეორე სვეტი კონკრეტულ პიროვნებას ავალდებულებს, შემოსავლის ნაწილი გადარიცხოს საპენსიო ფონდში, რომელსაც ემატება სახელმწიფოს ან დამსაქმებლის მიერ გადარიცხული გარკვეული ოდენობის სახსრები. მესამე სვეტი ნებაყოფლობითია და საშუალებას აძლევს პიროვნებას თავის შეხედულებებიდან გამომდინარე გადარიცხოს თანხა საპენსიო ფონდში. ამ მოდელს იყენებს ევროპის ქვეყნების უმრავლესობა, ასევე აშშ და ის ფაქტობრივად, "პაყ ას ყოუ გო" საპენსიო სისტემაზე დაგროვებითი სისტემის დაშენებას გულისხმობს.

ეკონომიკის ექსპერტი იოსებ არჩვაძე აღნიშნავს, რომ საქართველოში საპენსიო რეფორმა დიდი ხნის წინ უნდა განხორციელებულიყო, რადგან იგი გარდაუვალი აუცილებლობაა.

„ეს საპენსიო რეფორმა დიდი ხნის წინ უნდა განხორციელებულიყო, იგი გარკვეულწილად დაგვიანებულიც კია და ყოველი დღე, რომელიც ამ რეფორმის გარეშე გადის, მხოლოდ უარყოფითი შედეგების მომტანია, რადგანაც ამ რეფორმის შედეგად ჩამოყალიბებული საპენსიო სისტემა თავის კლასიკურ სახეს დაახლოებით 30 წლის შემდეგ მიაღწევს.

სახელმწიფო უარს ვერ იტყვის თავისი ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქციის შესრულებაზე - ცხოვრების დონის მინიმალური საშუალებით უზრუნველყოს ყველა ადამიანი, თუმცა მას არ აქვს იმის საშუალება, რომ საბიუჯეტო სახსრებით პენსიონერთა ცხოვრების მაღალი დონე უზრუნველყოს და ამას თვალი უნდა გავუსწოროთ. შესაბამისად, ამ რეფორმის დაგვიანება მომავალში პენსიონერთა ცხოვრების დონეზე უარყოფითდ აისახება," - აცხადებს არჩვაძე.

ამ დროისთვის კონკრეტული თარიღი, თუ როდიდან შევა ძალაში საპენსიო რეფორმა, უცნობია, თუმცა როგორც ეკონომიკის სამინისტროში აცხადებენ, მოსამზადებელ სამუშაოებს საკმაოდ დიდი დრო მიაქვს. საჭიროა შესაბამისი სისტემის შემუშავება და დანერგვა, ასევე გარკვეული საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნა, ყოველივე ეს კი დაახლოებით 2 წელს გასტანს.

დღესასწაული „ქართველი პრიმიტივისტის“ გარემოში

(პირველი გვერდიდან)

ასე რომ, ერთი ლამაზი დღე ჩაიწერა დედოფლისწყაროს ისტორიაში“.

ანზორ მაძღარაშვილი (**ფიროსმანის სახელმწიფო მუზეუმის მმართველის მოვალეობის შემსრულებელი**): „გასულ წლებთან შედარებით ეს ფიროსმანობა ბევრი რამით განსხვავდებოდა და იმითაც მნიშვნელოვანი იყო, რომ პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი გვეწვია. თქვენ წარმოიდგინეთ, მთელი მუზეუმი გულისყურით დაათვალიერა. შენიშნა ყველა ნაკლოვანება, რაც მუზეუმს აწუხებს, მის ალღოიან მზერას არ გამოჰპარვია. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ფიროსმანის მუზეუმს მართლაც სჭირდება დახმარება. ფიროსმანისთვის უკვე სირცხვილიც არის, რომ მუზეუმი რომელიმე უწყებას იყოს მიერთებული. ნიკო ფიროსმანაშვილი იმხელა ავტორიტეტი და იმ დონის მხატვარია, რომ იმსახურებს დამოუკიდებელი მუზეუმი იყოს, თავისი დაფინანსებით, როგორც ადრე იყო. თავად უნდა წყვეტდეს, რა უჭირს და რა ულხინს. ამ დეტალებზე აქ საუბარი ვერ მოვახერხეთ, მაგრამ ღარიბაშვილს ვთხოვე, რომ საჭირბოროტო საკითხებზე სასაუბროდ შემხვდეს. პრემიერი დამპირდა, რომ მიმიღებს და აღმითქვა, რომ ყველა ამ საკითხზე მოგვიანებით ვისაუბრებთ. წარმოიდგინეთ, რომ მუზეუმის შენობაში, ზოგ ადგილებში კედლებზე ბათქაში ცვივა. სხვათაშორის, ტურისტები რომ მოდიან, ხშირად ამბობენ, რომ ფიროსმანი გენიალური მხატვარია, მაგრამ როგორც ჩანს, საკუთარ ქვეყანაში სათანადოდ დაფასებული ვერ არისო, გაკვირვებას ხშირად გამოხატავენ - ხოლმე. მუზეუმი თავისი ასეთი მდგომარეობით შესაძლოა ქვეყნისთვის იმიჯის შელახვის საფუძველი გახდეს. სხვა წლებთან შედარებით ფიროსმანობის ღონისძიება წელს უფრო ორგანიზებულად ჩატარდა. იგრძნობოდა, რომ ყველაფერი თავის ადგილზე იყო და ყველა დეტალი იყო გათვლილი. მაგალითად, შარშან უფრო მოკრძალებულად აღინიშნა. წელს ხალხიც ბევრი მოვიდა, ადგილობრივებიც ორგანიზებულად შეხვდნენ ამ ამბავს“.

ელდარ შოშიტაიშვილი (**ქსოვრელები**): „დღეს არის დიდებული ადამიანის სახელობის ზეიმი და ბუნებრივია, ქსოვრელებიც ვუერთდებით ამ სიხარულს. ფიროსმანი ერთადერთი იყო, რომელმაც ქალაქური წყობა და თბილისური სიყვარული შეინარჩუნა, თავის შემოქმედებაში საოცარი ოსტატობით ასახა და დღემდე შემოგვინახა. ბოლოს, მინდა ფიროსმანობა მივულოცოთ მირზაანელებს, მთელს კახეთს და რა თქმა უნდა, მთელს საქართველოს. ვეცადეთ, ჩვენი სტუმრობით ნიკალას ეზო გაგველამაზებინა და ჩვენი წვლილი შეგვეტანა.“

მარიამ ელიეშვილი (**მომღერალი**): „დედოფლისწყაროში პირველად არ ვარ, სხვადასხვა საქველმოქმედო კონცერტებში ხშირად ვმონაწილეობ, თუმცა სოფელ მირზაანში პირველად ვარ და ფიროსმანობაზე მონაწილეობა წელს პირველად მივიღე. აქაურობა მართლა ძალიან მომეწონა. ბუნებრივადც ძალიან ლამაზი ეზო და გარემოა და ძალიან მომეწონა დღესასწაულის აღნიშვნის ფორმა. ყველაფერი ლამაზად იყო გაფორმებული. ამ კუთხისთვის დამახასიათებელი ტრადიციული სუფრა, მრავალი სახეობის ღონისძიება იყო და ამ ყველაფერმა დადებითი შთაბეჭდილებებით დამტვირთა და მოხარული ვარ, რომ აქ ჩამოსვლა მოვახერხე და ამ ყველაფრის ხილვის საშუალება მომეცა. მართლა ბედნიერი ვარ, რომ ამინდის მიუხედავად, ამ დღის გალამაზებაში წვლილი შევიტანე. ყოველთვის სიამოვნებით გავიხსენებ ამ დღეს და სიხარულით ვეწვევი დედოფლისწყაროს. იმედია, სხვა დროსაც მომიწვევენ ასეთ ღონისძიებებზე.“



ნინო ჯღარკავა (**ჟურნალისტი**): „ძალიან ლამაზი დღე იყო, ფიროსმანობა ყველამ ერთად ვიზეიმეთ. ძალიან კარგია, რომ აღდგა ეს ტრადიცია, მართლაც სახალხო ზეიმი გაიმართა და ასე ფართო მასშტაბებით აღინიშნა. ბოლო წლებში თითქოს მივიწყებული იყო ფიროსმანი და ნამდვილად ახალი ხელისუფლების დამსახურებაა, რომ ამ დონის ღონისძიება მიეძღვნა. მიხარია, რომ მე, როგორც დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქე, აქ ვიმყოფები და ყველას დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ასეთი სტუმართმოყვარეობისთვის და ლამაზი დღესასწაულისთვის. საოცარი გარემო დამხვდა მირზაანში და ძალიან ამაღელვებელი იყო ყველაფერი. ყველას მინდა მივულოცო ფიროსმანობა.“

ილია მარტყოფლიშვილი

სოკოთი მოშხამვა

ბუნებაში არსებობს 70 ათასამდე სოკოს სახეობა. შხამიანი სოკოების რაოდენობა არც ისე დიდია. საქართველოში შხამიანი სოკოს 20-25 სახეობაა.

სოკოები სამ ძირითად ჯგუფად იყოფა: საკვებად ვარგის, პირობითად ვარგისი (რომელთაც სჭირდებათ სპეციალური კულინარული დამუშავება საკვებში გამოყენებამდე - 20 წთ. ხარშვა, ნახარშის გადაღვრა ან 2-3 კვირა შრობა) და შხამიანად, რომლებიც შეიცავენ სპეციფიკურ ტოქსინებს (შხამებს).

მოშხამვებს ძირითადად შხამიანი ან პირობითად შხამიანი სოკოები იწვევს. იშვიათად საკვებად ვარგისი სოკოებიც იწვევს მოშხამვას, განსაკუთრებით ცხელი ამინდების შემდეგ, სოკოს დაბერების ან დაჭიანების შემთხვევაში, რომელშიც დროთა განმავლობაში გროვდება ტოქსინები, ხშირად სოკოთი მოწამვლას აქვს ადგილი მისი არასწორად დამუშავება-კონსერვაციის დროს.

შხამიანი სოკოთი მოწამვლა ხშირად სიკვდილით მთავრდება. სოკოს სახეობაზეა დამოკიდებული მოწამვლის გამოვლენის განსხვავებული დრო (1/2-დან -12 სთ-მდე) და სხვადასხვა სიმპტომები.

სოკოთი მოშხამვის ნიშნებია: გულისრევა, ღებინება, ფაღარათი, ტკივილი მუცლის არეში, ოფლინობა, სისუსტე, ქოშინი, ჰიპერსალივაცია, ბოდვა, ჰალუცინაცია, კოლაფსი, კომა.

შხამები, რომელთაც შეიცავენ სოკოები, თავიანთი მოქმედების მიხედვით სამ ჯგუფად იყოფა:

პირველ ჯგუფს განეკუთვნება ის შხამები, რომლებიც მხოლოდ საჭმლის მომნელებელი სისტემის მოშლას იწვევენ. მათი მოქმედება ჭამიდან, ჩვეულებრივ, 1-2 საათის შემდეგ ვლინდება და გამოიხატება გულისრევასა და ღებინებაში, მუცლის ტკივილში, ოფლიანობაში, სისუსტესა და ფაღარათში.

მეორე ჯგუფის შხამები მოქმედებენ ნერვულ ცენტრებზე. მოწამვლის ნიშნები ვლინდება 0,5-4 საათის შემდეგ და გამოიხატება ძლიერი გულისრევასა და ღებინებაში, ფაღარათში, თავბრუსხვევაში, გონების დაკარგვაში, ძლიერ ოფლიანობაში, ისტერიულ სიცილსა და ტირილში, ჰალუცინაციაში.

მესამე ჯგუფის შხამებით მოწამვლის ნიშნები სოკოს ჭამიდან 8-70 საათის შემდეგ ვლინდება, კუჭში მოხვედრილი შხამები პირველ ხანებში არ იწვევს შესამჩნევ მოწამვლას; მოწამვლის ნიშნები შეიმჩნევა მხოლოდ მაშინ, როდესაც შხამი მიაღწევს ტვინამდე და მოქმედებს ნერვულ ცენტრებზე, რომლებიც არეგულირებენ შინაგან ორგანოთა ფუნქციებს. ამის შემდეგ იწყება კუჭის ნვენის და ლორწოს ინტენსიური გამოყოფა, რასაც მოსდევს გულისრევა და ფაღარათი. ორგანიზმი განიცდის გაუწყოვნებასა და დაუოკებელ წყურვილის გრძნობას, სქედება სისხლი, ავადმყოფს ულურჯდება ტუჩები და ფრჩხილები, უცივდება ხელფეხი. ავადმყოფის ჯანმრთელობის მდგომარეობა სწრაფად უარესდება და თითქმის ყოველთვის სიკვდილით მთავრდება.

გახსოვდეთ!

ნებისმიერი, ძალიან მსუბუქი, მოშხამვისას ან მოშხამვაზე ეჭვის მიტანის შემთხვევაშიც კი აუცილებელია ექიმთან ვიზიტი ან ჰოსპიტალიზაცია. მკურნალობის დაგვიანებით დაწყება შესაძლოა სავალალო აღმოჩნდეს!

ექიმის მოსვლამდე ავადმყოფს უნდა გაეწმინდოს კუჭი და ნაწლავები. კუჭის გაწმენდა შეიძლება თბილი წყლით, სოდიანი ან კალიუმის პერმანგანატის სუსტი ხსნარებით. ნაწლავების გამწმენდად გამოიყენება საფაღარათო საშუალებები, ოყნა.

აუცილებელია პირღებინებითა და ფაღარათით გამოწვეული სითხის დანაკარგის შევსება. ავადმყოფს უნდა მიეცეს მცირე ულუფებით მარილის სუსტი წყალხსნარი ან მაგარი ჩაი. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ალკოჰოლის შემცველი სასმელების გამოყენება, რომელიც ხელს უწყობს სოკოს შხამის ორგანიზმში უფრო სწრაფ შეწოვას.

გავრცელებული შეხედულებები სოკოს შხამიანობის გამორკვევისა - ვერცხლის კოვზის, ხახვისა და ნიორის ხარშვისას გაშავება - მცდარია!

ხსოვნა

თამაზ ჭუჭულაშვილი



ჩემო უსაყვარლესო მამა, უკვე ერთი წელი გავიდა შენს გარეშე. შარშან 21 ოქტომბერი, შენი დაბადების დღე, მძიმე ავადმყოფს მოგილოცე. წაკითხვის თავი აღარ გქონდა, მაგრამ მაკოცე და მადლობა გადამიხადე. თან ტირილით უთხარი დედას, ეს როგორ მოიფიქრაო. წელს კი უკვე შენს საფლავზე მოვედით და ისე მოგილოცეთ დაბადების დღე და აგინთეთ სანთლები.

მამა, ძალიან გვაკლიხარ, მენატრები, ჩვენ ხომ ვერ ვძლებდით უერთმანეთოდ, დღეში რამდენჯერმე ვურეკავდით ერთმანეთს. ახლა? ახლა ყოველდღე ვიხსენებ შენს მშვიდ და ალერსიან საუბარს, რომელიც ასეთი ტკბილი და ხანმოკლე იყო. მამა, დავდივართ ეკლესიაში მე და დედა, გინთებთ სანთლებს და ღმერთს შევთხოვთ, რომ შენი სული ნათელში იყოს.

შენი ერთადერთი შვილი
ნიკა ჭუჭულაშვილი

კახა ჩოქური

ჩემო საყვარელო ძმაო, ნოდარ, მოვიდა ტკივილიანი 26 ოქტომბერი, შენი დაბადების დღე. პირველად უნდა შევხვდეთ შენს დაბადების დღეს უშენოდ. სიკვდილზე შემზარავი არაფერია ამ ქვეყნად. რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო გვენატრები ყველას, შენს დისშვილებს, ძმისშვილებს, დებს და საყვარელ ძმას.შენ ხომ საკუთარი ოჯახი არ გქონდა, მთელ სითბოს და სიყვარულს ჩვენზე ანაწილებდი. იყავი უანგაროდ კეთილი, უბოროტო, ყველგან სიკეთეს თესდი, გვანუგეშებდი. მამამ ვერ გაუძლო შენს სიკვდილს და შვიდ თვეში დაიღუპა. შენმა ძმამ დედა, მამა, შენ, ჩვენს მშობლიურ სოფელ ჩირიკში დაგკრძალათ, იქ, რომელი ადგილიც შენ ძალიან გიყვარდა.აკი წინა წელს გეთქვა „მე აქ უნდა დავიმარხოო“.ძალიან, ძალიან ძნელია უშენობა, ძმაო, მაგრამ იმით ვიყუჩებთ ტკივილს, რომ შენ, ჩვენი მშობლები და ახლობლები, ჩემი საყვარელი შვილი კახა ერთად იქნებით. მოვა დრო, ჩვენც შემოგიერთდებით, წუთისოფლის კანონი ხომ ასეთია. სანთლებით და ცრემლებით გილოცავთ დაბადების დღეს, გწამდეს არასოდეს დაგივიწყებთ. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

შენი და
- ლილი კოზაიძე ოჯახით.

ია ათამაშვილი



25 წელია, საფლავზე მოსვლით გილოცავთ დაბადების დღეს! 31 ოქტომბერს 41 წელი შეგისრულდებოდა, ჩემო საყვარელო მეგობარო.1990 წლის 25 ივნისი ავბედითი გათენდა ჩვენთვის, ამ დღეს დაასრულე შენი ულამაზესი სიცოცხლე და შენს ახლობელ ხალხს დიდი ტკივილი დაგვიტოვე, ამ დღეს დასრულდა ბავშვობა შენი კლასელებისთვისაც, რომლებსაც ყოველთვის ისეთი ხალისიანი და ლამაზი გვემახსოვრები, როგორიც წახვედი ჩვენგან.

16 წელი რა არის მეგობარო, წამიერი გაელვება ცხოვრების, მაგრამ სიცოცხლის ამ მოკლე დროში დიდი სიყვარული დაგვიტოვე. შენს შესახებ ბევრს ვუყვები ჩემს შვილებს, მათ იციან, რომ შენი სახით ძვირფასი ადამიანი და ერთგული მეგობარი დავკარგე, რომ შენი სახელი დავიწყებას არასდროს მიეცემა ჩემო სიცოცხლით გაუმაძღარო, მხიარულო და კეთილო ადამიანო. მე ყოველთვის ცრემლმორეული ვკითხულობ ანა კალანდაძის ამ ლექსს, რომელსაც დიდ სიყვარულით ვიმეორებ:

მე ლამაზი მეგობარი მყავდა,
თვალჟუჟუნა წაბლისფერი თმებით
ერთხელ მტრედმა მოუტანა ფრთები
წავიდა და ღრუბლებს გაჰყვა ცადა,
ღრუბლებს გაჰყვა, სად ვეძებო, სადა?
მე ლამაზი მეგობარი მყავდა,
თვალჟუჟუნა წაბლისფერი თმებით.

შენი მუდამ მოსიყვარულე მეგობარი
- ეკა კოზაიძე ოჯახით.

გიგა დათუკიშვილი



ჩვენო უსაყვარლესო, ლამაზო ვაჟკაცო, უდროოდ გაფრენილო შვილო, 26 ოქტომბერი დიდი უბედურების მოგონების დღედ დაგვიტოვე.

ამ ქვეყნად ყველაზე შემზარავი სიკვდილია. ყველაზე ძნელი და გაუსაძლისი კი უშენობით გამოწვეული მონატრება, რომელმაც ტანჯვად, ცრემლად და აუტანელ ტკივილად ჩაიბუდა ჩვენს გულებში, ხოლო სევდად და ნაღველად ჩაიღვენთა ჩვენს თვალებში.

გვენატრები! უსაშველოდ გვენატრები, გიგა!

გაუსაძლისია ამ ტკივილის გაძლება!

ჩემო გიგა, ისე გვენატრები, ისე გვენატრები, რომ ყველაფერს დავთმობთ მე და მამაშენი, ოღონდ დაგინახოთ, შეგეხოთ, მოგეფეროთ, გეამბოროთ შუბლზე. ექვსი წელი გავიდა, მაგრამ დრომ ვერაფერი გვიშველა... ცხოვრება უშენოდ ჯოჯოხეთად იქცა ჩემო ლამაზო, ჭკვიანო ბიჭო.

ჩვენ ყოველდღე დავდივართ შენს საფლავთან, ჩვენი დარდით, სევდით, წუხილით და გაუსაძლისი ტკივილით წელში ორად მოხრილები ვალაგებთ ყვავილებს და ვანთებთ სანთლებს, რომ გზა გაგინათოთ ზეციურ სასუფეველში.

დრო არაფრის მკურნალი არ ყოფილა, შვილო, რაც დრო გადის, უფრო მეტად გვიჩნდება შენი მონატრების სურვილი.

შენი მშობლები: ნაირა ყოჩიაშვილი, ზურა დათუკიშვილი.

* * *

შენ ჩვენი დიდი ტკივილი ხარ,
დიდი დარდი და წამება,
იუავი სხივი დილის მზის,
გახდი ცრემლი და ვაება.
ვერ შეგელიეთ, ისევ გელოდებით,
ისევ შენი სითბო ტრიალებს,
თითქოს აქვე ხარ და მაინც არსადა ხარ,
როგორ მოვიშუშებთ იარებს.
ყველაფერს ასწრებდი,
სიცოცხლეს ესწრაფოდი,
ლამაზად გინდოდა ცხოვრება,
იუავი სითბო და დიდი სიყვარული,
ახლა ხარ ცრემლი და გოდება!
იუო ღმერთის ნება?
ანდა ბედისწერა?
რითი ვინუგეშოთ თავი...

წლები გადიან და გულს უფრო ამძიმებს დიდი, უსაშველო დარდი.

შენი „ადადა“ ასმათ ყოჩიაშვილი

ნოდარ კოზაიძე



ჩემო საყვარელო ძმაო, ნოდარ, მოვიდა ტკივილიანი 26 ოქტომბერი, შენი დაბადების დღე. პირველად უნდა შევხვდეთ შენს დაბადების დღეს უშენოდ. სიკვდილზე შემზარავი არაფერია ამ ქვეყნად. რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო გვენატრები ყველას, შენს დისშვილებს, ძმისშვილებს, დებს და საყვარელ ძმას.შენ ხომ საკუთარი ოჯახი არ გქონდა, მთელ სითბოს და სიყვარულს ჩვენზე ანაწილებდი. იყავი უანგაროდ კეთილი, უბოროტო, ყველგან სიკეთეს თესდი, გვანუგეშებდი. მამამ ვერ გაუძლო შენს სიკვდილს და შვიდ თვეში დაიღუპა. შენმა ძმამ დედა, მამა, შენ, ჩვენს მშობლიურ სოფელ ჩირიკში დაგკრძალათ, იქ, რომელი ადგილიც შენ ძალიან გიყვარდა. აკი წინა წელს გეთქვა „მე აქ უნდა დავიმარხოო“. ძალიან, ძალიან ძნელია უშენობა, ძმაო, მაგრამ იმით ვიყუჩებთ ტკივილს, რომ შენ, ჩვენი მშობლები და ახლობლები, ჩემი საყვარელი შვილი კახა ერთად იქნებით. მოვა დრო, ჩვენც შემოგიერთდებით, წუთისოფლის კანონი ხომ ასეთია. სანთლებით და ცრემლებით გილოცავთ დაბადების დღეს, გწამდეს არასოდეს დაგივიწყებთ. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

შენი და
- ლილი კოზაიძე ოჯახით.

მარიკა პოპიაშვილი და ნანა ჭიჭინაძე ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ და გულწრფელ სამძიმარს უცხადებენ თაკო, დათო, ნიკა მაჭარაშვილებს მეუღლის და მამის

ალიკა მაჭარაშვილის

გარდაცვალების გამო.

ლია, ლაურა, ნინო, ნონა მაძღარაშვილები თანაგრძნობას უცხადებენ მაია და ლალი მაძღარაშვილებს დედის

ნათელა მაძღარაშვილის

გარდაცვალების გამო.

დედოფლისწყაროს რაისაავადმყოფოს სამშობიარო განყოფილების ყოფილი თანამშრომლები ნათელა თამაზაშვილი, მანანა სულაშვილი, ელიკო უთრუთაშვილი, დოდო გონაშვილი, ციალა გურამშვილი, რუსიკო მეხრიშვილი, ლილი კოტაშვილი, ლამარა ზურაშვილი, ნინო საბიაშვილი, ცირა ხარაშვილი სამძიმარს უცხადებენ ნუნუ ნატროშვილის ოჯახს მეუღლის

ვანო ჩონგურაშვილის

გარდაცვალების გამო.

სამშობიარო-გინეკოლოგიური განყოფილების თანამშრომლები: გულიკო გონაშვილი, მარინე ხარაშვილი, მანანა სულაშვილი, ლეილა გოგიშვილი, თინათინ ტოკლიკიშვილი, თამრიკო ჯამასპიშვილი, დალი ჯანიკაშვილი სამძიმარს უცხადებენ თანამშრომელს ეკა გოგილაშვილს მეუღლის

ილია გოგილაშვილის

ტრაგიკულად გარდაცვალების გამო.

სამშობიარო - განყოფილების თანამშრომლები: მარინე ხარაშვილი, გულიკო გონაშვილი, ლეილა გოგიშვილი, დალი ჯანიკაშვილი, თინათინ ტოკლიკიშვილი, თამრიკო ჯამასპიშვილი სამძიმარს უცხადებენ ნუნუ ნატროშვილს მეუღლის

ვანო ჩონგურაშვილის

გარდაცვალების გამო.

თურქული სერიალები ჩვენს ცხოვრებაში

დაპირებისამებრ გთავაზობთ სერიალ „დიდი სახლის პატარა დიასახლისის“ კიდევ ერთი მთავარი გმირის სავაშის, სერჰატ თეომანისცხოვრებას. როგორც მისი ნათქვამიდან ირკვევა თურქი კაცების აზრები და შეფასებები ქართველი მამაკაცების მოსაზრებებისგან შორს არაა და ამ ორ აღმოსავლელ სქესს შორის მართლაც არსებობს მსგავსება. ვნახოთ სერჰატის ბიოგრაფია.

სერჰატ თეომანის დაიბადა 1983 წლის 4 ივნისს. დაამთავრა უნივერსიტეტის სახვითი ხელოვნების ფაკულტეტი საშემსრულებლო ხელოვნების სპეციალობით. შემდეგ, მუშაობდა უფროსის მოვალეობის შემსრულებელად მთავარ Art ფილიალში. დამთავრებული აქვს იმარ შინან-ის უნივერსიტეტის სამაგისტრო თეატრალური დეპარტამენტი. 2000 წლიდან ჩართულია სატელევიზიო ინდუსტრიაში. 2003 წლიდან აქტიურად მონაწილეობს სატელევიზიო შოუებსა და გასართობ გადაცემებში, ასევე მინი სერიალებში, გადაღებულია მხატვრულ ფილმებშიც. ტელე-სერიალებში გადაღებები დაიწყო 2010 წლიდან. ახალგაზრდობაში თამაშობდა საფეხბურთო კლუბში. ამჟამად, ძირითადად დაკავებულია თურქული და ასევე უცხო ქვეყნების სერიალებში გადაღებებით. ერთ-ერთ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ „უკვე 27 წლის ვარ და არ შემიძლია გაგცეთ პასუხი, კითხვაზე რატომ არ ვარ შეყვარებული? მე არ მჯერა იმ ადამიანების, რომლებიც ამბობენ, რომ სამუშაოს გამო, დრო არ მრჩება სიყვარულისთვის. სიყვარული დრო არ არის, სიყვარული - გრძნობაა. მაშინაც კი, როცა სამუშაოზე მიდიხართ ეს გრძნობა თან დაგყვებათ. თუკი, სიყვარული ჭეშმარიტად არსებობს, მაშინ ჩვენ შეგვიძლია ვიცხოვროთ ამ გრძნობით. მაგრამ, მე ჯერ ვერ შევხვდი ქალს, რომლის შეყვარებასაც შევძლებდი. მე ის კაცი არ ვარ, ვინც ქალის შინაგან სილამაზეს ხედავს. მე ქალში ვუყურებ თვალებს და წარბებს. თვალებში ჩანს სიწმინდე, ქალის უდანაშაულობა. ერთადერთს, რასაც მე ქალში ვეძებ ეს სიწმინდე და სისპეტაკეა, შემდეგ კი, სხვა დანარჩენი. სერჰატ თეომანს ნათამაშები აქვს შემდეგ ფილმებში „ქუზეი გუნეი“, „დაუმთავრებელი სიმღერა“, „დიდი სახლის პატარა დიასახლისი“.

ეს საინტერესოა!

ბანანი ერთადერთი ხილია, რომელიც შეიძლება მიიღოთ გასტრიტის დროს, სასარგებლოა გულ-სისხლძარღვთა უკმარისობის, ჰიპერტონიის, თირკმლების, ღვიძლისა და შარდის ბუშტის დაავადებების დროს.

კალიუმის დიდი შემცველობის წყალობით ბანანს აქვს მატონიზებელი თვისება, ის ამაგრებს გულის კუნთებს, გონებრივი და ფიზიკური დატვირთვის შემდეგ სწრაფად აღადგენს ენერგიას. ბანანი ხსნის სტრესს, აუმჯობესებს გუნება-განწყობილებას.

ის საუკეთესო კოსმეტიკური საშუალებაცაა. ბანანის რბილობის ნიღაბი თმას უბრუნებს სიმკვრივეს, ბრწყინვალებას - დაჭყლიტეთ ბანანი, დაამატეთ კვერცხის გული და წაისვით თმაზე. 20 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ თბილი წყლით და შემდეგ დაიბანეთ შამპუნით. პროცედურა გაიმეორეთ კვირაში 2-ჯერ

ულოცავენ!

ნინო იაკობიშვილს!

ქალი ლამაზი, ფაქიზი
ქალურ სინაზით აღვსილი,
კეთილი, სათნო, სულგრძელი
მსგავსი ვარდების სურნელის.
კარს შევაღებთ და გულს გვიხარებს,
შენი ღიმილი მზით ნაქარგია,
შენი დანახვა სიკეთით გვაჯსებს,
მიტომ გვიყვარხარ, მართლაც ძალიან.
დაბადების დღეს გილოცავთ
როგორც ლამაზი ოჯახის ჰატრონს,
ღმერთმა ჯანმრთელი სოცოცხლე
მოგცეს,
შვილიშვილებით დახუნძლულ ბებოს.
დიდხანს იცოცხლე ჩვენს საიმედოდ
შვიდეულის ბურჯი ხარ შენ,
მუდამ გახსოვდეს, რომ უმეგობროდ,
ვერ ვიარსებებთ ჩვენ...
ამ ლექსით გილოცავთ დაბადების დღეს!

პატივისცემით
„შვიდეული“.

ნიკოლოზ ხუციშვილს, მაკა გიგოლაშვილს!

ნუკრი და მაკა, გილოცავთ დაქორწინებას. ბედნიერ მეუღლეობასა და შვილების სიმრავლეს გისურვებთ. უფალი იყოს თქვენი შემწე.

პატივისცემით,
დედოფლისწყაროს
მუნიციპალიტეტის
საკრებულო

ნინო ჯამალაშვილს!

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო აპარატის თანამშრომელს ნინო ჯამალაშვილს ულოცავს ქალიშვილის მარიამის დაბადებას. პატარა მარიამს ვუსურვებთ ჯანმრთელობასა და ღირსეულ პიროვნებად აღზრდას.უფალმა დალოცოს მისი მომავალი!

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის
საკრებულო

ალექსანდრე გაბრიელაშვილს!

ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლის „შირაქი“ მოცეკვავეები ალიკა მასწავლებელს ულოცავენ დაბადების დღეს, უსურვებენ მას ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და პროფესიულ წარმატებებს!

სიახლე!

რუსთაველის ქ.N4 (ავტოგასამართ სადგურ „სოკარის“ წინ) ფუნქციონირებს ზოო-ვეტ მარკეტი, სადაც შეგიძლიათ შეიძინოთ ყველა ჯგუფის ვეტპრეპარატები, ვაქცინები, ცხოველების და ფრინველების საკვები, საკვები დანამატები, თევზების საკვები, ცხოველების მოვლის საგნები დაბალ ფასებში. თქვენ მოგემსახურებიან კვალიფიციური სპეციალისტები.

ზოო-ვეტ მარკეტს ესაჭიროება დამატებითი თანამშრომელი ვეტერინარული განათლებით.

ტელ: 599 26 80 28

განმარტება

ჩემი წიგნის „გოლგოთა“ პრეზენტაციის შესახებ გაზეთ შირაქში გამოქვეყნებული წერილში „პოეზიის ჯვრის მტვირთველი“ გულწრფელი სიტყვებია დაფიქსირებული. მათ შორის საყურადღებოა წიგნის გამოცემაში გაწეულ ღვაწლზე და აღნიშნულია, რომ „ლომის წვლილი მიუძღვის გამომცემლობა „პირველის დირექტორს ზაზა გამგებელს“.

ვინც ზაზას სიტყვა მოისმინა, ალბათ ყველას ასეთი აზრი გაუჩნდებოდა, რადგან მან ილაპარაკა და თქვა, რომ შეასრულა ადრე დაპირებული სიტყვა და ჩვენი რაიონის მწერალთა წიგნების ბეჭდვას აგრძელებს.

ჩემი წიგნი „გოლგოთა“ როცა აეწყო, დაკაბადონდა და სასტამბოდ გამზადდა, ბატონმა ზაზამ მის დაბეჭდვაზე რატომღაც უარი განაცხადა. მან არა თუ უფასოდ, არამედ თანხის გადახდის შემთხვევაშიც ცივი უარი თქვა დაბეჭდვაზე. თანაც დასძინა, რომ წყვეტდა ამ პროექტს, ე. ი. ჩვენი გაერთიანების მწერალთა წიგნების გამოცემას. მერე როცა ჩემი „გოლგოთა“ სხვა სტამბაში დაიბეჭდა და დღის სინათლეზე გამოვიდა, ბატონმა ზაზამ კვლავ გააგრძელა დედოფლისწყაროელი მწერლების წიგნების ბეჭდვა...

ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელს ნიკოლოზ ჯანიაშვილს, საკრებულოს თავმჯდომარეს ზვიად ჯავახიშვილს, ბეჟან (ბაჩუკი) და ვაჟა გონაშვილებს და ყველა იმ ადამიანს, ვინც ამ წიგნის გამოცემაში წვლილი შეიტანა.

ჯუმბერ უთრუთაშვილი

იყიდება!

იყიდება ორ სართულიანი ბინა, სათბურით. შენობაში შეყვანილია გაზი და წყალი. მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, ლომის ქუჩა №9. ფასი შეთანხმებით.

591 977 224

იყიდება!

იყიდება კაპიტალური, ბელეტაჟზე სუფთა საცხოვრებელი სახლი, უზრუნველყოფილია წყლით, გაზით, ელექტროენერგიით. სახლს აქვს ბოსტანი 15 მეასედი. სანყისი ფასი 16 000 დოლარი.მისამართი: სოფელი ხორნაბუჯი, ქიზიყის II-ე შესახვევი N25. მსურველებმა დარეკეთ

593 79 56 59,
593 79 20 47.

ამინდი — დედოფლისწყარო

	ორშაბათი 27.10	სამშაბათი 28.10	ოთხშაბათი 29.10	ხუთშაბათი 30.10	პარასკევი 31.10	შაბათი 01.11	კვირა 02.11
დღე	6 °	7 °	10 °	12 °	13 °	12 °	9 °
ღამე	5 °	5 °	6 °	8 °	8 °	9 °	8 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნანრა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა პოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ძენძაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.

C M Y K